თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 5

ქ.თელავი 20. 06. 2022 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ზურაბ ლილუაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, გივი ლაფაური, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დადგენის შესახებ“, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შესატანად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე წინადადების განხილვის შესახებ.

   მომხს:ლ. ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრის, ბაადურ გულიაშვილის მიერ დაყენებული საკითხი, სხვადასხვა პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით.

   მომხს:ბ. გულიაშვილი

მოისმინეს: 1. "თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დადგენის შესახებ" თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შესატანად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე წინადადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი კონკრეტულ ვადაში ზღუდავს მუნიციპალიტეტის მერიას, რომ უზრუნველყოს ხელშეკრულების პროექტის მოსაწონებლად საკითხის წარმოდგენა საკრებულოს წინაშე და დროის ამ მცირე მონაკვეთის გამო შესაძლოა პრობლემა შეიქმნას ბაზრის კვლევის დროს შესაბამისი გამარჯვებული ორგანიზაციის გამოვლენამდე, ამიტომ მიზანშეწონილია ხელშეკრულების პროექტის წარმოსადგენად მერიას საბოლოო ვადად განესაზღვროს 2022 წლის 01 აგვისტო და შევიდეს ცვლილება აღნიშნულ მუხლში. აგრეთვე, დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად, ნორმატიული აქტი ამოქმედებას იწყებს 2022 წლის 01 აგვისტოდან, შესაბამისად აღნიშნულ ვადამდე გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას და ნორმატიული აქტში გაწერილი გარკვეული საკითხებიდან გამომდინარე, შესაძლოა მერიას მოქმედების დროს შეექმნას ხელისშემშლელი გარემოებები. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება ნორმატიული აქტი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და შევიდეს ცვლილება ზემოაღნიშნულ მუხლში, აგრეთვე დადგენილების სხვა მუხლებთანაც დაკავშირებით ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება რომ კომისიამ მიმართოს საკრებულოს ბიუროს, რომ ზემოხსენებულ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზნით დაიწყოს დოკუმენტზე ადმინისტრაციული წარმოება, აგრეთვე სათაურის შინაარსიც არ შეესაბამება დადგენილების შინაარსს და საჭიროა აგრეთვე მისი განხილვაც.

იმედა კევლიშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს: ხომ არ აფერხებს აღნიშნული საკითხი ფასის გადასვლის რეჟიმში გადასვლას? რაზედაც **ლევან ბერძენაშვილმა** უპასუხა, რომ ეს ავტომატურად არ გამოიწვევს გადასვლას, ვინაიდან მანამდე მერიას გასატარებელი აქვს შესაბამისი ღონისძიებები.

ბაადურ გულიაშვილმა აღნიშნა, რომ არ ჩატარებულა სოციალური კვლევები, სტატისტიკა არ გვქონდა, ასევე პროექტში მითითებული არ გვაქვს ბანკი, დროზეა ამოსაღები თანხა რათა მუნიციპალიტეტს ხარჯი არ გაეზარდოს.

ლევან ბერძენაშვილმა განმარტა, რომ ბანკის დასახელება პროექტში ვერ იქნებოდა, ვინაიდან შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ უნდა მოხდეს გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

საბოლოოდ კომისიამ მსჯელობის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

გადაწყვიტეს: ნორმატიულ აქტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრის, ბაადურ გულიაშვილის მიერ დაყენებული საკითხი, სხვადასხვა პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით.

მომხს:ბ. გულიაშვილი

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა **ბაადურ გულიაშვილმა** აღნიშნა, რომ პროცედურული დარღვევებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი საკრებულოს სხდომის მიმდინარეობისას, მაგალითად დეპუტატების მოსაზრებები (ღაღანიძე მუსაევი)საოქმო ჩანაწერში არ იყო ასახული. როგორც აღნიშნა შეისწავლა რამდენიმე საკრებულოს სხდომის ოქმი და ხშირად სხდომის ოქმი რეალურ ვითარებას არის აცდენილი და დარღვევებს ჰქონდა ადგილი, აღნიშნულის გამო უნდა გამოსწორდეს ვითარება და მიეცეს განმარტება საკრებულოს აპარატს. აგრეთვე განმარტა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომის მიმდინარეობისას მის გამოთქმულ აზრს საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან გაუკეთდა კომენტარი და შეფასება, რაც მისი აზრით წარმოადგენს უხეშ პროცედურულ დარღვევას და მოითხოვა რეაგირება კომისიის მხრიდან ამ ფაქტის შეფასებისათვის. მისი განმარტებით შეეხება რაც წერია საკრებულოს რეგლამენტში სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი სხვის მაგივრად პასუხობდეს საკითხებს და აკეთებდეს შეფასებას. ასეთ შემთხვევაში უნდა გადადგეს დროებით ან გადააბაროს სხდომა მოადგილეს. აგრეთვე აღნიშნა,

რომ თვითმართველობის კოდექსის თანახმად სხდომის ოქმში შედის ყველა ის მოსაზრება რაც ითქმება სხდომაზე და ხშირ შემთხვევაში საკრებულოს სხდომის ოქმში აღნიშნული მოსაზრებები საერთოდ არ ფიქსირდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვა, რომ რეგლამენტში შევიდეს ცვლილება და სავალდებულო გახდეს ოქმში შევიდეს ყველა ის მოსაზრება, რომელიც გამოითქმება სხდომაზე.

ტარიელ გალახვარიძემ გააკეთა კომენტარი, რომ არ არის აუცილებელი რეგლამენტის ცვლილება, ვინაიდან იგი კანონის დუბლირება გამოვა და ისედაც ნათლად არის გაწერილი ყველაფერი.

ბ.გულიაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მართალია იურიდიულ კომისიას გააჩნია სამუშაო გეგმა, მაგრამ თვითონ საკრებულოს სამუშაო გეგმა არ გააცნია და უმჯობესი იქნება რომ დამტკიცებული ჰქონდეს. **ლევან ბერძენაშვილმა ბაადურ გულიაშვილს** მიმართა, რომ რეგლამენტში ცვლილების შესატანად აუცილებელია რომ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და განუმარტა, რომ მას როგორც დეპუტატს უფლება აქვს რომ შეიმუშაოს დადგენილების პროექტი განმარტებით ბარათთან ერთად და მოახდინოს მისი ინიცირება, რასაც **ბაადურ გულიაშვილი** დაეთანხმა, საკითხს დაეთანხმა კომისიის წევრი **ალექსანდრე შათირიშვილიც.**

ლევან ბერძენაშვილმა, აგრეთვე განმარტა, რომ შეისწავლა ის ვიდეო ჩანაწერი, სადაც აღბეჭდილია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომის მიმდინარეობა, კონკრეტულად კი ის მონაკვეთი, რომელზეც **ბაადურ გულიაშვილი** აღნიშნავდა რომ საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან ჰქონდა ადგილი პროცედურულ დარღვევას. მანვე განმარტა, რომ აღნიშნულ ჩანაწერში რაიმე არსებითი დარღვევა ვერ აღმოაჩინა საკრებულოს თავმჯდომარის მოქმედებაში. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მანვე პირადი მობილური ტელეფონის საშუალებით წარმოადგინა სხდომის ამ მონაკვეთის ჩანაწერი და კომისიის წევრებს შესთავაზა მათი განმეორებით მოსმენა, რაზედაც მიიღო უარი, კონკრეტულად კი კომისიის წევრებმა **ზურაბ ლილუაშვილმა** და სხვებმა განმარტეს რომ სხდომის

ჩანაწერში დარღვევას ვერ ხედავენ და საკითხი უნდა ჩაითვალოს შესწავლილად, რადგან დარღვევა არ გამოვლენილა. კომისიის სხვა წევრების აზრს არ დაეთანხმა **ბაადურ გულიაშვილი** და განაცხადა, რომ ვინაიდან კომისიამ არ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, ამიტომ იგი საკითხს განმეორებით დააყენებს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე და ყველა დეპუტატს, მათ შორის თანამდებობის პირებს გააცნობს მათ უფლება-მოვალეობებს.

გადაწყვიტეს: კომისიის წევრს **ბაადურ გულიაშვილს** მიეცეს წინადადება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოადგინოს ნორმატიული აქტის პროექტი სათანადო წესით.

კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი